წევრის მგვ ორგანიზაციაში გაწევრიანების და შესაბამისი უფლება-ვალდებულებების განსაზღვრის შესახებ
(ზოგადი ნაწილი)

ტერმინთა განარტება

- **საბურავი** – სატრანსპორტო საშუალების საბურავი;
- **ზეთი** – ბაზარზე განთავსებული მინერალური ან სინთეტიკური საპოხი ან სხვა სახის საწარმოო ზეთი, რომელიც განკუთვნილია სამრეწველო დანიშნულებით, სატრანსპორტო საშუალებებში ან სხვა სახით გამოსაყენებლად, კერძოდ: ძრავის ზეთი, გადაცემათა კოლოფის ზეთი, საპოხი ზეთი, ტურბინის ზეთი, ჰიდრავლიკური ზეთი და სხვ.;
- **ბატარეა, აკუმულატორი** – ელექტროენერგიის წყარო, რომელიც წარმოიქმნება ქიმიური ენერგიის გარდაქმნით და შედგება ერთი ან ერთზე მეტი პირველადი ბატარეის ელემენტისგან (ერთჯერადი დატენვის) ან ერთი და ერთზე მეტი მეორადი ბატარეის ელემენტისგან (მრავალჯერადი დატენვის);
- **ბატარეების ბლოკი** – ერთმანეთთან დაკავშირებული ან/და ერთ გარსში მოქცეული ბატარეების ან/და აკუმულატორების ნაკრები, რომლებიც ერთ მთლიანობას წარმოადგენს და მომხმარებელს არ უწევს მათი დაშლა ან განცალკევება;
- **პორტატული ბატარეა, პორტატული აკუმულატორი** – ბატარეა, ე.წ. „ღილის ზომის ელემენტი“, ბატარეების ბლოკი ან აკუმულატორი, რომელიც დალუქულია, შესაძლებელია მისი ხელით ტარება და არ არის სამრეწველო ბატარეა ან სამრეწველო აკუმულატორი, ან საავტომობილო ბატარეა ან საავტომობილო აკუმულატორი;
- **ღილის ზომის ელემენტი** – მცირე ზომის მრგვალი ბატარეა ან აკუმულატორი, რომლის დიამეტრი მის სიმაღლეზე მეტია და რომელიც გამოიყენება ისეთი კონკრეტული დანიშნულების მოწყობილობებში, როგორიცაა ყურსასმენი აპარატები, საათები, მცირე ზომის პორტატული და სარეზერვო კვების მოწყობილობები;
- **საავტომობილო ბატარეა ან საავტომობილო აკუმულატორი** – ისეთი ბატარეა ან აკუმულატორი, რომელიც გამოიყენება ავტოსატრანსპორტო საშუალების ან მისი კომპონენტების ექსპლუატაციისათვის;
- **სამრეწველო ბატარეა ან სამრეწველო აკუმულატორი** – ისეთი ბატარეა ან აკუმულატორი, რომელიც განკუთვნილია მხოლოდ სამრეწველო ან პროფესიული მიზნებისთვის გამოსაყენებლად, ან გამოიყენება ნებისმიერი სახის ელექტრო ავტოსატრანსპორტო საშუალებებში;

  შენიშვნა: ყველა ზემოაღნიშნული ნივთი წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისთვის მოიხსენიება, როგორც პროდუქტი.

- **ნარჩენები:** ნებისმიერი პროდუქტი, რომელსაც მფლობელი იშორებს, განზრახული აქვს მოიშოროს ან ვალდებულია მოიშოროს;
- **საბურავის ნარჩენი –** საბურავი, რომელიც წარმოადგენს ნარჩენს კოდექსის მე-3 მუხლის მნიშვნელობით;
- **ნარჩენი ზეთი –** ზეთი, რომელიც წარმოადგენს ნარჩენს, ნარჩენების მართვის კოდექსის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად;
- **ბატარეის ნარჩენი ან აკუმულატორის ნარჩენი –** ბატარეა ან აკუმულატორი, რომელიც ნარჩენების მართვის კოდექსის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად წარმოადგენს ნარჩენს;

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულებით რეგულირდება ის უფლება-ვალდებულებები, რომლებიც წარმოშობილია „ასოციაცია“-სა და “წევრს” შორის, “ასოციაციის” წესდების და საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე. წინამდებარე ხელშეკრულება წარმოადგენს “ასოციაციის” წესდების განუყოფელ ნაწილს და წესდებასთან ერთად განსაზღვრავს იმ უფლება-ვალდებულებებს, რომელიც ასოციაციას და წევრს გააჩნიათ ერთმანეთის მიმართ და რომელიც გამომდინარეობს/წარმოშობილია ,,წევრის”, როგორც “ასოციაციის” წევრობიდან და შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობებიდან.”

1.2 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე “წევრი”„ასოციაციას“ წინამდებარე ხელშეკრულებით ანიჭებს უფლებამოსილებას ხოლო თავის მხრივ, “ასოციაცია“ ხელმოწერით ადასტურებს თანხმობას მწარმოებლის/წევრის სახელით განახორციელოს შემდეგი საქმიანობა:

1. უზრუნველყოს, მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების საკანონმდებლო მოთხოვნის შესაბამისად, “წევრის” მიერ ბაზარზე განათავსებული პროდუქციის ნარჩენებთან დაკავშირებით მიზნობრივი მაჩვენებლების მიღწევა;
2. დაგეგმოს და განახორციელოს ნარჩენების სეპარირებული შეგროვება, ტრანსპორტირება და დამუშავებისათვის გადაცემა კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად;
3. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიაწოდოს, მოთხოვნების შესრულების შემოწმებისათვის აუცილებელი ინფორმაცია;
4. „ასოციაციამ“ მოახდინოს “წევრის” მიერ ბაზარზე განთავსებული პროდუქტის შესახებ ანგარიშგება მგვ რეესტრში, კანონმდებლობის შესაბამისად;

ხელშეკრულება ვრცელდება წევრის მიერ ბაზარზე განთავსებულ ყველა იმ პროდუქტზე, რომელთა მიმართ მოქმედი კანონმდებლობით დაწესებულია საწევრო შენატანი (რეციკლირების გადასახადი).

1.3 „ასოციაცია“ არ არის პასუხისმგებელი იმ პროდუქტზე, რომელიც “წევრის” მიერ არ არის დეკლარირებული ან რომელზედაც არ არის წარდგენილი სწორი ინფორმაცია

ხელშეკრულების ზოგადი პირობების მოთხოვნების შესაბამისად, ან რომელზედაც, დადგენილ ვადებში გადახდილი არ არის საწევრო გადასახადი.

1.4 "ასოციაციას" უფლება აქვს შეცვალოს საწევრო შენატანის (რეციკლირების გადასახადი) ოდენობა შემდეგი გარემოებების შემთხვევაში:

1. ადგილობრივ ან/და საერთაშორისო ბაზარზე ნარჩენების, როგორც რესურსის ფასების ცვლილების შემთხვევაში;
2. ნარჩენების აღდგენისა და რეგენერაციის საკანონმდებლო მიზნობრივი მაჩვენებლების ცვლილებისას;
3. იმ შემთხვევაში, როდესაც ქვეყანაში ნარჩენის რეგენერირების, აღდგენის ან რეციკლირების არსებული ობიექტების მიერ არ არის შესაძლებელი წარმოქმნილი ნარჩენის უტილიზაცია.
4. მუნიციპალიტეტებთან ან/და სხვა პირებთან, რომლებიც ახორციელებენ ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების, რეგენერირების, აღდგენის ან რეციკლირების საქმიანობას დადებული ხელშეკრულებების პირობების არასახარბიელო ცვლილების შემთხვევაში.
5. სხვა ობიექტური გარემოების არსებობისას წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით;

1.5 "წევრი" ვალდებულია განახორციელოს ქმედებები, რომელიც ხელს შეუწყობს "ასოციაციას", როგორც მგვ ორგანიზაციას შეასრულოს "ნარჩენების მართვის კოდექსით" და საქართველოს მთავრობის №24, 25 და 27 დადგენილებებით განსაზღვრული ვალდებულებები.

2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

2.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელშეკრულების ძირითადი ნაწილის ხელმოწერიდან და მოქმედებს მწარმოებლის, „ასოციაციის" - წევრის უფლებამოსილების შეწყვეტამდე.

3. საწევროს ოდენობა და გადახდის წესი

3.1 "წევრის" მიერ "ასოციაციაში" გადასახდელი საწევრო შენატანის (რეციკლირების გადასახადი) ანაზღაურება განისაზღვრება შესაბამისი დანართებით;

3.2 „წევრის" მიერ „ასოციაციის" საწევრო შენატანის (რეციკლირების გადასახადი) გადახდა მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, „ასოციაციის" მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე. საწევროს გადახდის წესი და პროცედურა განისაზღვრება შესაბამისი დანართით;

4, მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1 „წევრი" უფლებამოსილია:

4.1.1 „ასოციაციას" მოსთხოვოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება;

4.1.2 მოსთხოვოს „ასოციაციას" მისი ვალდებულებების შესრულების შესახებ ყველა სახის საჭირო ინფორმაციის დროული მიწოდება;

4.1.3 ნებისმიერ დროს შეამოწმოს „ასოციაციის“ მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობა და საჭიროებისას მოითხოვოს შესაბამისი წერილობითი ანგარიში;

4.1.4 ისარგებლოს “ასოციაციის” წესდებით განსაზღვრული უფლება-მოსილებებით;

4.2 **“წევრი“ ვალდებულია:**

4.2.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით და პირობებით გადაუხადოს “ასოციაციას“ საწევრო შენატანი (რეციკლირების გადასახადი), მის მიერ ბაზარზე განთავსებული პროდუქციის შესაბამისად, ხელშეკრულებით და მისი დანართებით გათვალისწინებული წესით;

4.2.2 უზრუნველყოს “ასოციაციის”, როგორც „მგვ ორგანიზაციის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის მაქსიმალური ხელშეწყობა;

4.2.3 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების და “ასოციაციის” წევრად ყოფნის პერიოდში არ გახდეს სხვა მგვ ორგანიზაციის წევრი.

4.2.4 “ასოციაციის” წევრად გახდომამდე წარადგინოს წინა მგვ ორგანიზაციასთან ხელშეკრულების შეწყვეტის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი ასეთის არსებობის შემთხვევაში;

4.2.5 კანონმდებლობით და წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესით მიაწოდოს ასოციაცის შემდეგი ინფორმაცია: მის მიერ იმპორტირებული პროდუქციის სასაქონლო კოდები, ნეტო წონა ასევე მათი იმპორტირების დრო;

4.2.6 გასცეს წერილობითი თანხმობა, რაც ასოციაცის მიანიჭებს უფლებას წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, შემოსავლების სამსახურიდან/საბაჟო ორგანოებიდან გამოიხმოს შემდეგი ინფორმაცია: წევრის მიერ იმპორტირებული პროდუქციის სასაქონლო კოდები, ნეტო წონა ასევე მათი იმპორტირების დრო;

4.2.7 ნარჩენი/მეორადი პროდუქცია უპირატესი წესით მიჰყიდოს ასოციაციას;

4.2.8 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, მისცეს ელექტრონული წვდომა ასოციაციას ნარჩენების მართვის სისტემაში https://waste.mepa.gov.ge/Login) მის მოდულზე.

4.3 „ასოციაცია“ უფლებამოსილია:

4.3.1 “წევრს” მოსთხოვოს საწევროს/რეციკლირების გადასახადის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში გადახდა;

4.3.2 შეცვალოს საწევროს ოდენობა შემდეგი გარემოებების შემთხვევაში:

ა) ადგილობრივ ან/და საერთაშორისო ბაზარზე ნარჩენების, როგორც რესურსის ფასების ცვლილების შემთხვევაში;

ბ) ნარჩენების აღდგენისა და რეგენარაციის საკანონმდებლო მიზნობრივი მაჩვენებლების ცვლილებისას;

გ) იმ შემთხვევაში, როდესაც ქვეყანაში ნარჩენების რეგენერირების, აღდგენის ან რეციკლირების არსებული ობიექტების მიერ არ არის შესაძლებელი წარმოქმნილი ნარჩენის უტილიზაცია.

დ) მუნიციპალიტეტებთან ან/და სხვა პირებთან, რომლებიც ახორციელებენ ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების, რეგენერირების, აღდგენის ან რეციკლირების საქმიანობას დადებული ხელშეკრულებების პირობების არასახარბიელო ცვლილების შემთხვევაში.

ე) სხვა ობიექტური გარემოების არსებობისას წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით;

4.3.3 კანონმდებლობით და წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესით მიიღოს წევრისაგან შემდეგი ინფორმაცია: წევრის მიერ იმპორტირებული პროდუქციის სასაქონლო კოდები, ნეტო წონა ასევე მათი იმპორტირების დრო;

4.3.4 მოსთხოვოს წევრს, რათა მან გასცეს წერილობითი თანხმობა, რაც ასოციაცის მიანიჭებს უფლებას წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, შემოსავლების სამსახურიდან/საბაჟო ორგანოებიდან გამოიხმოს შემდეგი ინფორმაცია: წევრის მიერ იმპორტირებული პროდუქციის სასაქონლო კოდები, ნეტო წონა ასევე მათი იმპორტირების დრო;

4.3.5 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, გააჩნდეს ელექტრონული წვდომა ნარჩენების მართვის სისტემაში https://waste.mepa.gov.ge/Login) წევრის მოდულზე.

4.3.6 შეწყვიტოს ხელშეკრულება წევრთან და მოახდინოს მისი ასოციაციდან გარიცხვა იმ შემთხვევაში, თუ წევრი არღვევს წესდებით და წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

4.4 „ასოციაცია“ ვალდებულია:

4.4.1 ცნობიერების ამაღლებისა და სქემებში საზოგადოების მონაწილეობის მაღალი დონის უზრუნველყოფის მიზნით სისტემატურად მიაწოდოს შესაბამისი ინფორმაცია საზოგადოებას ნარჩენების მართვის არსებული სქემების შესახებ;

4.4.2 საჯაროდ გამოაქვეყნოს ინფორმაცია მიზნობრივი მაჩვენებლების მიღწევის შესახებ;

4.4.3 მიზნობრივი მაჩვენებლების მიღწევის მიზნით - შექმნას სარეზერვო ფონდი რეციკლირებადი მასალების უარყოფითი საბაზრო ფასის კომპენსაციისთვის და სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯის დასაფარად;

4.4.4 უზრუნველყოს თანამშრომლობა ოპერატორებთან, ხმარებიდან ამოღებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ნარჩენების მართვის მგვ ორგანიზაციებთან და შესაბამის უფლებამოსილ პირებთან;

4.4.5 სრულად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

4.4.6 არ გაახმაუროს მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ურთიერთთანამშრომლობის შედეგად;

4.4.7 მისი ვალდებულებები შეასრულოს პირადად, „წევრის“ მაქსიმალური ხელშეწყობით;

4.4.8 დაუყოვნებლივ შეატყობინოს „წევრს“ იმ გარემოებათა შესახებ, რომლებიც აბრკოლებენ მომსახურების გაწევას ან შეიძლება შეუძლებელი გახადონ მომსახურების გაწევა;

5. ხელშეკრულების პირობების ცვლილება და შეწყვეტა

5.1 “ასოციაცია” უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების ზოგადი ნაწილი, დანართები და წესები შემდეგი წესით:

5.1.1 ცვლილებების განხორციელებამდე 1 თვით ადრე აცნობოს “წევრს” განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ და ასევე ასახოს აღნიშნული ცვლილებები, მის ვებ გვერდზე (https://wmba.com.ge/) განთავსებულ დოკუმენტებში;

5.1.2 წევრისათვის ცვლილებების თაობაზე შეტყობინების გაგზავნა ხდება ცვლილებების "წევრის" ელ.ფოსტაზე გაგზავნით, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების ძირითად ნაწილში. შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება შეტყობინების გაგზავნიდან მეორე დღეს. ცვლილებების შესახებ შეტყობინება უნდა იყოს დასაბუთებული და მითითებული უნდა იყოს კონკრეტული საფუძელი, რაც განაპირობებს ხელშეკრულების პირობების ცვლილება;
5.1.3 იმ შემთხვევაში თუ "წევრი" არ ეთანხმება მოსალოდნელ ცვლილებებს ან ახალ პირობებს, იგი უფლებამოსილია შეტყობინების მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში უარი განაცხადოს ცვლილებების მის მიმართ ამოქმედებაზე. "წევრის" მიერ აღნიშნული უფლების გამოყენების შემთხვევაში, "ასოციაცია" უფლებამოსილია შეწყვიტოს "წევრთან" წინამდებარე ხელშეკრულება, რაც წარმოადგენს "წევრის" "ასოციაციიდან" გასვლის/გარიცხვის საფუძველს. ასეთ შემთხვევაში "წევრი" ვალდებულია შეასრულოს ხელშეკრულების შეწყვეტამდე წარმოშობილი ვალდებულებები "ასოციაციის" წინაშე.
5.1.4 იმ შემთხვევაში, თუ "წევრი" წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში არ განაცხადებს პრეტენზიას ცვლილებების თაობაზე ისინი ავტომატურად ამოქმედდება მის მიმართ შეტყობინების ჩაბარებიდან 1 თვის ვადაში;
5.2 წევრს შეუძლია შეწყვიტოს მგვ ორგანიზაციის წევრობა მხოლოდ საანგარიშო პერიოდის დასრულებისას, ურთიერთანგარიშსწორების შემდეგ.

6. პასუხიმსგებლობა

61. მხარეთა პასუხიმგებლობა განისაზღვრება სააქრთველოს კანონმდებლობით და წინამდებარე დოკუმენტით. მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აუნაზღაუროს მისი ქმედებებით მიყენებული ზიანი სრულად;

7. კონფიდენციალობა

7.1. მხარეები იღებენ ვალდებულებას არ გაამხილონ ამ ხელშეკრულების პირობების შესრულების პროცესში მიღებული ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას. კონფიდენციალურ ინფორმაციად მიიჩნევა ისეთი სახის ინფორმაცია, რომელიც არ არის საყოველთაოდ ხელმისაწვდომი და რომლის გახმაურებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს მხარეებს ან/და უარყოფითად იმოქმედოს მხარეთა საქმიან რეპუტაციაზე.
7.2. მხარეები პასუხს აგებენ ამ ხელშეკრულების დარღვევის გამო გამოწვეული ზიანისათვის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8. ფორს-მაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის, თუ ამის მიზეზი გახდა საგანგებო ხასიათის მქონე გადაულახავი ძალა, რომლის წარმოშობა ხელშეკრულების დადების მომენტში მხარეებს არ შეეძლოთ წინასწარ განესაზღვრათ და თავიდან აეცილებინათ.
8.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის და შეწყვეტის შესახებ ერთ-ერთი მხარე, თუ ის ვერ ასრულებს ამ ხელშეკრულების პირობებს, ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს ასეთი გარემოების დადგომიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

8.3. გადაულახავ ძალად ჩაითვლება სტიქიური უბედურებანი (მიწისძვრა, ხანძარიდასხვა), ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოს გადაწყვეტილებანი, რომლებიც ცვლიან, აჩერებენ ან წყვეტენ წინამდებარე ხელშეკრულების დებულებებს, ნებისმიერი ხასიათის საომარი მოქმედებანი და სხვა ამგვარი მოვლენები, რომელთა წარმოშობაზეც ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეები პასუხს არ აგებენ.
8.4 ფორს-მაჟორული მოვლენა დადასტურებული უნდა იყოს სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ.
8.5 ფორს-მაჟორი არ ათავისუფლებს მხარეებს მისი (ფორსმაჟორის) დასრულების შემდეგ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებისაგან.

8.6 თუ ფორს-მაჟორი გრძელდება ერთ კვირაზე მეტხანს, მხარეს უფლება აქვს, შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის არსებული ვალდებულებების მთლიანი შესრულებით.

9. ზოგადი დებულებები

9.1. ხელშეკრულება „ასოციაციას“ “წევრისაგან” ანიჭებს, ხელშეკრულების პუნქტში გათვალისწინებული ფუნქციების განხორციელების უფლებას.
9.2. ხელშეკრულებაში მითითებული მისამართების და რეკვიზიტების შეცვლის შემთხვევაში მხარეებმა უნდა გააკეთონ წერილობითი შეტყობინებები 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარის მიერ აღნიშნულ მისამართზე განხორციელებული ურთიერთობა (შეტყობინების გაგზავნა და სხვა) ჩაითვლება ჯეროვნად შესრულებულად.
9.3. „ასოციაცია“ აცხადებს, რომ გააჩნია ამ ხელშეკრულების დადებისა და შესრულებისთვის საჭირო კომპეტენცია და უფლებამოსილება;
9.4. ხელშეკრულება განიმარტება და რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
9.5. საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით, დარეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.6. ყველა დავა და უთანხმოება, რომელიც შეიძლება წარმოიშვას წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე, წყდება მხარეთა შორის მოლაპარაკების შედეგად, იმ შემთხვევაში, თუ მოლაპარაკების შედეგად შეთანხმება ვერ მიიღწევა – მხარეთა შორის დავას განიხილავს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.7. წინამდებარე ხელშეკრულების შინაარსის გარდა მხარეებს არ გააჩნიათ წერილობითი ან ზეპირი სახის თანამშრომლობის განსაზღვრელი სხვა პირობები;
9.8. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლარად ქართულ ენაზე, თითო ეგზემპლარი თითოეული მხარისათვის.